სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/78

ქ. თბილისი

6 ივნისი 2023 წ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის „29“ იანვრის #46 სხდომის #1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დადგენილების პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 6 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის „29“ იანვრის #46 სხდომის #1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დადგენილების პროექტი (დანართი).

2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე